საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№108 (6334) 8 სექტემბერი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალური ცნობა

პირველ სექტემბერს მოსკოვში რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ელცინმა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გუმბარიძემ ხელი მოაწერეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელშეკრულებას ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. მათთან ერთად ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. სილაევმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჭითანავამ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1 სექტემბერს კრემლში ა. ი. ლუკიანოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

განიხილეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მეოთხე სესიის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც 10 სექტემბერს იხსნება. მოიწონეს წინადადებანი დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ.

სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლ. ი. აბალკინის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკანონმდებლო აქტების მომზადება, რომლებიც უნდა განიხილონ უზენაესი საბჭოს სესიაზე. ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა განსაზღვრა უზენაესი საბჭოს მეთაური კომიტეტები და მისი პალატების მუდმივი კომისიები კანონთა შესაბამისი პროექტების წინასწარი განხილვისათვის.

კავშირის საბჭოს საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ვ. გ. კუჩერენკომ ილაპარაკა კომიტეტებსა და კომისიებში 1991 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების მომავალი განხილვის საკითხებზე.

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მომზადებასთან დაკავშირებული კონსულტაციების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ რ. ნ. ნიშანოვმა. სხდომაზე აღინიშნა, რომ მეტი წილი მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან კონსულტაციების დროს გამოითქვა სურვილი დაიდოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება და შეიქმნას ერთიანი საერთო-საკავშირო ბაზარი.

უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. დ. პივოვაროვმა გააკეთა ინფორმაცია პრესაში კანონპროექტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შემოსული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ კანონის პროექტის გამო შენიშვნებისა და წინადადებების განზოგადების შედეგების შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს და მისი ორგანოების მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხი.

„ძლევაი საკვირველი“ — დიდება სახელსა მისსა...

ამდენი ხალხი, იმ დღეს რომ დიდგორის ველზე შეიყარა იქაურობას, ალბათ, მას შემდეგ აღარ ახსოვს, რაც ამ სისხლით დამბალ მიწაზე დიდი დავითის მხედართმთავრული ნიჭის შეძლებითა და ღვთის შემწეობით მოხდა „ძლევაი საკვირველი“, როცა ქართველობამ იმძლავრა მუმლივით შემოსეულ მტერზე...

დღეს დიდი დიდგორობა გვიდგას საქართველოში. გასრულდა იდეა, რომელსაც აგერ, ცხრა საუკუნეა ელოლიავება და შვილიდან შვილს გადასცემს ქართველი კაცი... ამ დღეს დილიდან იმიტომ დაიძრა დიდი ლაშქარი დიდგორისაკენ, სადაც საზეიმოდ გაიხსნა წინაპართა გმირობის მემორიალი; ქვასა თუ ბრინჯაოში გაცხადებული სიმბოლიკით თითქოს გაცოცხლდა წარსულის სურათები... და კვლავ ზეობს სული ქართული... კვლავ გაიბაწრა მომლოცველთა გრძელი რიგი მაღალი ბორცვისაკენ, რომლის ფერდობებზე ვალმოხდილი მეომრებივით წარმომართულან ჯვარხმლები...

დღეს არ მოიძებნება ქართველი, ამ მემორიალის გახსნის სიხარული და სიამაყე რომ არ ალაპარაკებდეს და გამორჩეული პატივისცემითა და მადლიერებით არ მოიხსენიებდეს კაცს, რომლის ნიჭმა საბოლოოდ გამოკვეთა და სახე მისცა მთლად საქართველოს ნაოცნებარს. ეს კაცი მემორიალის ავტორი, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილია, რომელსაც ეს ბოლო ხანია, წმინდა ღამისმთეველივით „ქარავი დაუცია“ დიდგორის ველზე და... აჰა, დღეს ჩვენს წინაშეა ვრცელი კომპლექსი, რომელიც თაობებს შეახსენებს მეფე დავითის—„მეხიის მახვილის“, მთლად საქართველოს სულის უკვდავებას...

ჩვენი ღლეების ადამიანები

ხელმარჯვე და მშრომელი, შინ და გარეთ საქმისოვის შემართული, ზნეკეთილი და იმედიან შეძახილს ჩვეული, ჭირსა და ლხინში უღალატო, ვაჟკაცური თანამდგომი,—ასეთია დეხვირელი რეზო გურგუჩიანი. იგი ავტოსატრანსპორტო საწარმოში შემდუღებლად მუშაობს. ძნელი, მაგრამ მეტად საჭირო ხელობის კაცი, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს თანამოსაქმეებში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას საქმისათვის ეღალატოს. ავტომანქანების შემკეთებლებთან ერთად იგი ყოველ დილით, ავტომანქანების რეისში გასვლამდე, მზადაა მოემსახუროს მძღოლებს. ყველას ეიმედება მისი.

საუკეთესოდ მოწყობილი კარ-მიდამო აქვს, ორი შვილი, ორივე სტუდენტია. რეზო და მისი მეუღლე ფოთოლა, ვიდრე შვილები კარგ სპეციალისტებად ყალიბდებიან, ოჯახს უდგანან, მოვლას არ აკლებენ საკარმიდამო მეურნეობის ზვარს, ბაღს თუ სასიმინდე ყანას.

ამასთან 2500 კვადრატული მეტრი ვენახი და 4 ათასი კვადრატული მეტრი სასიმინდე ყანა აქამდე იჯარით ჰქონდათ აღებული. ახლა კი, როცა გლეხურ მეურნეობაზე გადასასვლელად ლასურიაშის საერთო კრებაზე გადაწყვეტილება იქნა მიღებული, იჯარით აღებული ზვარი და ყანაც მათ სრულ განკარგულებაში გადავა. თუმცა, განსხვავება აქამდე მხოლოდ ანაზღაურებაში იყო. მოვლით კი, როგორც საკუთარს, ისე უვლიდნენ.

ხვავითა და ბარაქით დატვირთული მოაბიჯებს ლეჩხუმში შემოდგომა. განსაკუთრებით გულუხვია იგი რეზო გურგუჩიანის მსგავსი მშრომელებისათვის. შრომის სიკეთე კვლავ ბარაქით ავსებს გურგუჩიანების ოჯახს.

ჟ. ახვლედიანი.

სოფ. დეხვირი.

სიკეთე შრომის

სასურსათო პროგრამა — რა გზას დავადგეთ?

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკას მძიმე დრო უდგას, მწვავედ გამოიკვეთა რიგი სასურსათო პროდუქტების დეფიციტი. ისიც ცნობილია, რომ არა სახარბიელო პროგნოზი ისახება მომავალი პერიოდისათვის. დღითიდღე უარესდება ჩვენი რაიონის ფინანსური მდგომარეობაც.

სხვა გზა არ არის, ახლა ამის მიზეზების ქექვას არაფერი მოაქვს. დროა ვეძებოთ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზები. ამ შემთხვევაში განვითარების საშუალება უნდა მიეცეს თავისუფალ, ყოველგვარ ბიუროკრატიულ-მბრძანებლური მარწუხებისგან განთავისუფლებულ შრომას.

ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის საწარმოთა კოლექტივების სიტყვა და საქმე, ამიტომ ფართო გზა უნრა დაეთმოს ადამიანის დამოუკიდებელ აზროვნებას, საკუთარი ძალითა და შესაძლებლობით წარმართულ შრომას.

მხოლოდ საკუთარი თავის იმედით

მესამე წელია, რაც ცხენისწყალის სანაპიროზე, იქ სადაც უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აწ უკვე გამოთავისუფლებული მეცხოველეობის კომპლექსის შენობებია, მოქმედებს კოოპერატივი „სიახლე“. კოოპერატივის თავმჯდომარემ ოლეგ ქარსელაძემ, მისმა წევრებმა ვანო სილაგაძემ და ნუგზარ ჭაბუკიანმა თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი. პირველ რიგში, რადგან ადგილმდებარეობაც ხელსაყრელი იყო და მაინცდამაინც დიდ ხარჯებთან არც იყო დაკავშირებული, სათევზე ტბორი მოაწყვეს, 4000 კვადრატულ მეტრ ფართობზე წყალი დააგუბეს და თავდაპირველად ქაშაყისა და წვერას ლიფსიტები გაუშვეს, მალე შეატყვეს, რომ დარგი მომგებიანი იყო და იქვე, მთიდან ჩამონადენი წყაროს წყალიც გამოიყენეს, ადლერის სათევზე მეურნეობას 2000 მანეთი გადაურიცხეს და კალმახი შემოიყვანეს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ნედლი, ცოცხალი თევზი გაუსაღებელი დარჩენილიყოს, ამიტომ ბუნებრივია, სათევზე მეურნეობის უფრო გაფართოება. გაზრდა აქვთ განზრახული.

მალე სათბურიც გამართეს, აქვე არსებული ორგანული სასუქით განოყიერებულ მიწაში საცდელად „ლანტის“ ჯიშის პამიდორის თესლი დათესეს. ჩითილები თვით გამოიყვანეს, პამიდორი კარგი ჯიშის გამოდგა, განსაკუთრებული მოსავლით გამოირჩევა, წელს მაისში უკვე სარეალიზაციოდ ჰქონდათ, ორ მანეთად ჰყიდდნენ იმ დროს, როცა ცაგერის საკოლმეურნეო ბაზარზე იმერეთიდან შემოტანილი 5-6 მანეთად ფასობდა.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

„იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად“

125 წლის წინათ გამოგიდა ი. გოგებაშვილის „დედაენის“ წინამორბედი „ქართული ანბანი“ და „პირველი საკითხავი წიგნი“

ქართული ენა—ბულბულის გალობა, ქართული სიტყვა—ბგერათა ჰარმონია, ქართული ასონატიფი ჩუქურთმა, ქართული დედაენა—ზღაპრული სამყარო. დიახ, მართლაც ზღაპრული სამყარო, რომელიც მთელი თავისი სიდიადით გაეშლება წინ პატარას, მხოლოდ ახლახან რომ ეწვია სკოლას, მიუჯდა მერხს, ახალთახალი „დედა ენა“ გადაშალა და გაბრწყინებული თვალები შეავლო კედელზე დაკიდებულ იაკობ გოგებაშვილის პორტრეტს — პორტრეტს იმ ადამიანისას, რომელსაც ბევრნი არგუნა გამოსულიყო საზოგადო ასპარეზზე იმ დროს, როცა მის გარშემო წყვდიადი მეფობდა, მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, არისტოკრატიას ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავმოსაწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად აზროვნებდა, მეტყველებდა, ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა და აი, ასეთი გაწირულობის დროს გამოდის იაკობ გოგებაშვილი თავისი „დედა ენით“ და ცდილობს დანერგოს სკოლაში ქართული ენა, მოწაფეს მშობლიური ენის შეთვისების საფუძველი—„დედა ენა“ ჰქონდეს. საძირკველი მის თვალის ახელას, გაადამიანებას „დედა ენის“ საშუალებით ჩაეყაროს. სრულიად ბუნებრივი იყო ი. გოგებაშვილს თავისი სახელმძღვანელო მიეჩნია ქართველისათვის ეროვნული სულის შენარჩუნების საშუალებად და ვინც ამ წიგნის გავრცელების წინააღმდეგი იქნებოდა, გამოეცხადებინა ქართული ენის, ყოველივე ქართულის მტრად, საქართველოს ძირის გამომთხრელად, რადგან უდედაენო ქართულ ნერგს არ ექნებოდა ფეხქვეშ მშობლიური მიწა, არ ისაზრდოებდა ქართული მიწის მადლით, არ შთაებერებოდა ქართული სული, უცხო ნერგად გაიზრდებოდა და შემდეგ უკვე შეუძლებელი იქნებოდა მშობლიურისაკენ მისი შემობრუნება. ი. გოგებაშვილის დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან იმდროინდელ ქართველობაში ერთმა პირველთაგანმა მკაფიოდ შეიგნო და სხვასაც შთააგონებდა, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურა ერთ-ერთი წყაროა ადამიანის მორალური ფორმირებისათვის. თუ მანამდე ქართულ საბავშვო ლიტერატურას მეტად ზღუდავდნენ, ჰკეტავდნენ მეტად ვიწრო მორალის ჩარჩოებში, მოქალაქეობრივი გრძნობების გამომუშავებას მიზნად არ უსახავდნენ, გარემო ცხოვრებას აცილებდნენ და ზნეობრივ ცნებებს ახვევდნენ ბავშვის თავს და არ უმარტავდნენ, რომ ეს ზნეობრივი ცნებები არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე, ი. გოგებაშვილმა მტკიცედ მოითხოვა, რომ ლიტერატურა ბავშვებში უნდა ნერგავდეს საღ ზნეობრივ ნორმებს, აძლევდეს ბავშვს ცხოვრების გამოცდილებას. ამ მოსაზრებით იხელმძღვანელა მან „დედა ენის“ და „ბუნების კარის“ შედგენისას და ეს ორი მშვენიერი წიგნი პატარებს უძღვნა გონების განვითარებისა და ცოდნის შეძენისათვის, რომ დღეს პატარებს არა აქვთ საშუალება, მართლაც რომ „იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად“ და რა რიგ საწყენია, რომ პატარებს არა აქვთ საშუალება სწორედ ამ „დედა ენით“ და „ბუნების კარით“ დაიწყონ ურთულესი ქართული ანბანის შესწავლა. იაკობისეულ დედაენას უკვე იმდენი რედაქტირება გაუკეთდა, რომ მან თავისი პირვანდელი პეწი არა თუ აიმაღლა, არამედ დაკარგა კიდეც. კარგი იქნება თუ დავუბრუნებთ პატარებს „იაკობის ნაჩუქარ ფრთებს“.

მადონა მახარობლიძე.

ასრულდა ქუთაითურთა მთელი თაობის ოცნება—საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება—ქუთაისში დაფუძნდება ეროვნული უნივერსიტეტი.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე ქალაქის პარტიული ორგანიზაცია წარდგა დიდი პროგრამით ქუთაისის მერმისთან დაკავშირებით. ამ პროგრამის ხორცშესხმისათვის ქალაქის ხელმძღვანელობა სამუშაო დროის დიდ ნაწილს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში უშუალო ჩასვლებსა და კონტაქტებს უთმობდა. დაინტერესება ორმხრივი იყო და პირველი შედეგებიც თვალნათლივია: მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადავიდა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სულ ორიოდე დღეა, რაც ქალაქს მივულოცეთ მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის შექმნა და, აი, ახალი სიახლული—უნივერსიტეტი.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის მონაწილემ, სახალხო ეკონომიკურ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბატონმა თემურ შაბაშვილმა გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაკვარეკა და გვაცნობა ეს სასიხარულო ამბავი. მან ჩვენთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ის უდიდესი მხარდაჭერა და თანადგომა, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იქნებოდა ზემოდაღნიშნული საკითხების მოგვარება. მათი თანადგომის იმედი კვლავაც გვაქვს ქალაქისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვა პრობლემების გადაწყვეტაში. ამიტომაც დღეს არ გვაქვს უფლება,—თქვა ბატონმა თემურმა,—არ მოვიხსენიოთ თითოეული მათგანი. დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდით გვედგა ამ მართლაც ეროვნული საქმის გადაწყვეტაში. მე უპირველესად დავიწყებდი რესპუბლიკის ხელმძღვანელობით, მინისტრთა საბჭომ, უზენაესმა საბჭომ, მისმა პრეზიდიუმმა მთელი რიგ საკითხებში ძალიან კონკრეტული და პრაქტიკული დახმარება გაგვაწია.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთელი კოლექტივის, უშუალოდ პრეზიდენტის ბატონ ალბერტ თავხელიძის, ვიცე-პრეზიდენტის ანდრია აფაქიძის, ივერი ფრანგიშვილის, აგრეთვე როინ მეტრეველისა და ვალერიან ადვაძის დიდი მხარდაჭერა.

უდიდესი მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ერის უპირველესი საუნჯე—ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორის ბატონ ნოდარ ამაღლობელის, პროფესორების მარიკა ლორთქიფანიძისა და რისმაგ გორდეზიანის ხელმძღვანელობით, აგრეთვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და მისი რექტორი პატონი გოჩა ჩოგოვაძე. დაგვპირდნენ, რომ თბილისის უნივერსიტეტი პრაქტიკულ დახმარებას აღმოუჩენს უმცროს თანამოძმეს, რესპუბლიკის მთელ რიგ თვალსაჩინო მეცნიერებს სურვილი აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქუთაისის უნივერსიტეტის გაძლიერებაში, მიზანი ერთია—ერთობლივი თანამშრომლობით ახალი უნივერსიტეტი ეროვნული კადრებს მძლავრ სამჭედლოდ იქცეს.

მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ „ლიტერატურული საქართველოს“ დიდი მხარდაჭერა, წონადი იყო ჩვენი ცნობილი კრიტიკოსის თამაზ წივწივაძის მხარდაჭერა და თანადგომა ამ საკითხთან დაკავშირებით.

დიდ დახმარებას ვგრძნობდით არა მარტო რესპუბლიკის სახალხო განათლების, არამედ რესპუბლიკის თითქმის ყველა სამინისტროსა და კომიტეტების მუშაკებისაგან. მათ შორის ფინანსთა სამინისტროსა და რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტისაგან, პირადად მათი ხელმძღვანელების დ. დვალიშვილის, ო. ვარძელაშვილის, გ. ნაკაიძისაგან, კულტურის მინისტრ ვ. ასათიანისაგან.

დიდი მადლობა ეკუთვნით იმ ქუთაისელ მშენებლებს, რომლებიც ასე ვაჟკაცურად, რუდუნებით შრომობენ ჩვენი უნივერსიტეტის კეთილმოწყობისათვის. უნდა ითქვას იმის თაობაზე, რომ სულ მალე უნივერსიტეტის კორპუსებს შეემატება კლასიკური გიმნაზიის შენობა, „დინამოს“ სტადიონი, ახლომდებარე ყოფილი სამხედრო კორსუსის შტაბის, სახელმწიფო უშიშროების ქუთაისის განყოფილების ამჟამინდელი შენობები. სხვათა შორის ამ უკანასკნელის გადაცემა უნივერსიტეტისათვის თვით განყოფილების თანამშრომლების სურვილით ხდება.

ყველას დიდი მადლობა თანადგომისათვის.

ვულოცავთ მთელ ჩვენს ხალხს, თითოეულ ქუთაისელს, ქალაქის ახალგაზრდობას, უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი იმით, ვინც წლეულს პირველად შეაღებს ახალი უნივერსიტეტის კარებს და ვინც საუნივერსიტეტო დიპლომის პირველი მფლობელი გახდება, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობას—მომავალ უნივერსიტეტელებს!

მახარებს ის, რომ პედაგოგიურ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში კარგი სტუდენტი ახალგაზრდობაა და სწორედ მათი სწავლა იქნება ამ დიდი მხარდაჭერის კონკრეტული შედეგი. აქა-იქ სკეპტიკურად უყურებენ ამ საკითხს. უნივერსიტეტის გახსნა მოდას აყოლა ხომ არ არისო? მიმაჩნია, რომ თუ საქართველოში დიდი უნივერსიტეტების შემდეგ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო, ეს ქუთაისში უნდა მომხდარიყო. ყველა, ვინც ამ საკითხს სკეპტიკურად უყურებს, დარწმუნდება, რომ საუბარი არაა მხოლოდ სახელწოდების შეცვლაზე. ახლო მომავალში საშუალება გვექნება ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო და შემოქმედებით ინტელიგენციას ანგარიში ჩავაბაროთ: რა პრობლემებით ცხოვრობს ქუთაისი, რა აწუხებს მას, ყველა დარწმუნდება, რომ ქუთაისი მართლაც მზად იყო იმისათვის, რომ ეს უნივერსიტეტი ჰქონოდა.

გვიხაროდეს—ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სიცოცხლე დაიწყო.

გაზეთი „ქუთაისი“.

დიდი სიცოცხლე დაიწყო

მხოლოდ თავის

(დასასრული).

ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ ერთ წელზე მეტია, რაც კოოპერატივი ტყის რეზერვების გამოყენებას, გარეული ჩაის დამზადებას შეუდგა. მთის ჩაის მასალა, კერძოდ „ბამბა ეკალა“ (მაყვლის ჯიშისაა, ოღონდაც უფრო ნაზია და უეკლო) ქართული ჩაის საუკეთესო კომპონენტია, დანადგარიც შეიძინეს და ფოთლის პირველად გადამუშავებას აქვე ახდენენ, მიღებულ ნახევარფაბრიკატს წყალტუბოს ჩაის ფაბრიკას აბარებენ. ამ სეზონზე 20 ტონა ჩაის დამზადება აქვთ განზრახული, 12 ტონა უკვე გაგზავნეს. კილოგრამში 8 მანეთს უხდიან და ადვილი წარმოსადგენია თუ რა შემოსავალს მიიღებს კოოპერატივი. მალე დანადგარს შეიძენენ, მისი ღირებულება 30 ათასი მანეთია და მათ მიერ დამზადებულ გარეულ ჩაის თვითონვე გაუკეთებენ მინარევს და შეფუთულ-დაფასებულს სარეალიზაციოდ გამოუშვებენ.

შრომა უყვართ, რაც მთავარია საქმით არიან დაინტერესებული, რასაც ამბობენ, აკეთებენ კიდეც. ჯერ ბინა მოაწყვეს და წელს კრასნოდარის მხარიდან ბროილერის ჯიშის 2500 ცალი ერთდღიანი წიწილა შემოიყვანეს გამოსაზრდელად. ერთი კილოგრამი წონის მიღწევისას რეალიზაცია უყვეს და მოგებამ 1500 მანეთი შეადგინა.

კოოპერატივის გაძლიერების მიზნით ტექნიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პერიოდში შეიძინეს, რამაც საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. თავისი ჰყავთ თვითმცლელი, დამტვირთველი „მაზი“, „კამაზი“ და „დტ“ მარკის ტრაქტორი, რაც დღეს გარკვეულ შემოსავალს აძლევს კოოპერატივს.

კარგია კოოპერატივის საფინანსო მდგომარეობა, 20 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხი (ჰქონდათ, იგი ვადაზე ადრე დაფარეს, ახლა არავის ვალი აღარა აქვთ.

კოოპერატივი „სიახლე“ ჩამოყალიბებისას პირველი მერცხალი იყო რაიონში, მას შემდეგ როგორც უკვე ვთქვით სამი წელია, რაიონში ამდენი კოოპერატივები შეიქმნა, მაგრამ „სიახლე“ ისევ პირველია.

ახლახან კოოპერატივმა კავშირი დაამყარა სამეცნიერო-საწარმოო კომერციულ ასოციაციას „ფესვებთან“, რომლის დახმარებით სურვილი აქვთ შეიძინონ სამკურნალო მნიშვნელობის ნაყოფისმომცემი, ყინვაგამძლე ხე-მცენარის—„კივის“ ნერგები. თუკი ამისთვის 4-5 ჰექტარამდე მიწის გამოყოფა მოხერხდება, ფინანსურად აქვთ ყოველგვარი საშუალება დაქირავებულ მუშახელს მცენარის მოვლა-პატრონობაში, ვიდრე ზრდადასრულებული გახდება, თვეში 300-400 მანეთი გადაეხადონ.

აქვთ პრობლემებიც. უჭირთ საწვავ-საცხებ მასალებზე, ეს საერთო პრობლემაა, მაგრამ ისინი ამის საკუთარ ფონდს მოითხოვენ და ამაში რაიონში ახლახან შექმნილი კოოპერატივების საკოორდინაციო საბჭოს დახმარებას ელიან.

ახლა, როცა ყველა გზა საქართველოს ეკონომიკური თუ სოციალური დამოუკიდებლობისაკენ მიდის, ერი იბრძვის თავისუფლებისათვის, განვითარებისათვის, ამდენი რეზერვებისა და შესაძლებლობების პატრონს, რაში გვჭირდება ხელებში შეეუურებდეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს იქნებ მოგვაწოდონ სურსათი. თუკი დამოუკიდებელ აზროვნებას, თავისუფალ შრომას გზა გაეხსნება, „სიახლის“ მსგავსი კოოპერატივები მომრავლდება. თავს გავანძრევთ და ხელს გამოვიღებთ, პროდუქტიც საკმაო გვექნება.

ჯ. მანდარია.

დავაჩქაროთ მშენებლობა, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი

ამ ტემპით რა ღირს დამთავრება?

ჩვენი რაიონის ბევრ რეგიონში მეურნეობებს, წარმოება-დაწესებულებებს, მოსახლეობას 1987 წლის სტიქიურმა მოვლენებმა საგრძნობი ზარალი მიაყენა. დაინგრა და დაზიანდა ბევრი შენობა-ნაგებობა, მათ შორის კავშირგაბმულობის ზუბის განყოფილების შენობაც.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელობამ კავშირგაბმულობის სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი სოფელ ზუბში სტიქიით დაზიანებული შენობის ნაცვლად ახალი შენობის აგების შესახებ, რაც დაკმაყოფილებული იქნა და გამოიყო საჭირო თანხები. სამინისტრომ მშენებლობა დაუკვეთა „საქკავშირმშენის“ ტრესტის თბილისის №1 სარემონტო სამშენებლო სამმართველოს (სამუშაოთა მწარმოებელი თემურ კვიწინაძე). იმავე, 1987 წელს გამოიყო 50 ათასი მანეთი, შენობა ექსპლოატაციაში უნდა გაშვებულიყო 1989 წლის ბოლოს.

იმის გამო, რომ შენობის დასადგმელად სხვა ადგილი არ გამოინახა და ახალი იმავე ადგილზე უნდა აშენებულიყო, სადაც დაზიანებული შენობა იდგა, იგი 1988 წლის დასაწყისში დაანგრიეს და კავშირგაბმულობის განყოფილება და რადიოსადგური დროებით შეასახლეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის ორ პატარა ოთახში.

1988 წელი ისე გავიდა, რომ მუშაობა არ დაუწყიათ. მშენებლობა 1989 წლის აპრილში დაიწყეს. სამუშაოთა მწარმოებელი კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელობას, ზუბის სასოფლო საბჭოს, კავშირგაბმულობის ზუბის განყოფილების მუშაკებს პირდებოდა, რომ წლის ბოლომდე აუცილებლად დაამთავრებდა და ექსპლოატაციაში გაუშვებდა ასალ შენობას. ეს დაპირება არავის გაკვირვებია, რადგან, თუ მონდომება იქნებოდა, ამ საქმის შესრულება შეიძლებოდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა, შენობა სახურავში ძლივს მოიყვანეს.

ყველა ვარაუდობდა, რომ წლეულს მაინც გააძლიერებდნენ მშენებლობის ტემპს, მაგრამ იმედი არ გამართლდა, თვიდან თვემდე თუ გამოჩნდება სამუშაოთა მწარმოებელი, წაიმუშავებენ ორ-სამ დღეს და... ასე პიანურდება მშენებლობა. სანამ ატ სადგური ოყურეშის ხიდზე მუშაობდა, ზუბისა და ისუნდრის მოსახლეობა განგაშს არ ტეხდა მშენებლობის გაჭიანურების გამო, მაგრამ ორი თვის წინ ეს სადგური კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელობამ გადაიტანა სოფელ ოყურეშში. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ზუბსა და ისუნდერში 49 ტელეფონი დადუმდა. ორი თვეა ტელეფონები არ მუშაობს ზუბის სასოფლო საბჭოში, საშუალო სკოლაში, საექიმო უბანში, ისუნდრის არასრულ საშუალო სკოლაში, კლუბში, ზუბისა და ისუნდრის მოსახლეობაში. ისუნდერში რომ ვინმე ავად გახდეს, სასწრაფოს გამოსაძახებლად ზუბში უნდა გამოვიდნენ. ასე უჭირს აგრეთვე ზუბის ფოსტას დაკილებულ დაწესებულებებს, მოსახლეობას.

კავშირგაბმულობის რაიონულ-კვანძსა და რედაქციაში მომრავლდა უკმაყოფილო ადამიანების წერილები. მდგომარეობის გასაცნობად კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსთან, ი. ჭაბუკიანთან ერთად ახალ მშენებლობაზე მივედით. მშენებლობაზე არავინ დაგვხვდა. არადა შესასრულებელია შელესვის სამუშაოები, ჩასასმელია კარ-ფანჯრები, მოსაწყობია იატაკი, ჩასატარებელია შიდა კეთილმოწყობის სამუშაოები, საჭიროა ეზოს შემოკავება და სხვა.

შემოზიდულია ატს-ის მთელი კომპლექტი, რომელიც შეფუთული უქმად აწყვია მოუთავებელ ოთახში.

კავშირგაბმულობის ზუბის განყოფილების უფროსმა გულნაზი მუშკუდიანმა, რადიოსადგურის უფროსმა ელექტრომექანიკოსმა დუგლას ომანაძემ, მონტიორმა დავით ჩაკვეტაძემ გულისტკივილით შემოგვჩივლეს, რომ ელემენტარული პირობები არ აქვთ მუშაობისათვის. სახურავიდან ოთახებში ჩამოდის წვიმა, ფუჭდება რადიოსადგურის და ტელეფონის სადგურის აპარატურა, იატაკიდან თავისუფლად ამოდიან ხვლიკები, ვირთხები და სხვა. მოითხოვეს ახალ შენობაში მოთავდეს ორი ოთახი მაინც, რომ შეგვექმნას ელემენტარული პირობებიო.

მართლაც აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა, ისიც ფაქტია, რომ 49 ტელეფონი დადუმებულია. ასეთ ვითარებაში აუცილებელია ახალი შენობის ექსპლოატაციაში გაშვების დაჩქარება, ამის შესახებ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე დააყენა საკითხი „საქკავშირმშენის“ ტრესტის თბილისის №1 სარემონტო სამშენებლო სამმართველოსა და კავშირგაბმულობის სამინისტროს წინაშე, მაგრამ მშენებლობის ტემპი არათუ გაძლიერდა, კიდევ უფრო შენელდა. აგვისტოს მანძილზე მშენებლობაზე არცერთ კაცს არ უმუშავია.

ვფიქრობთ, კავშირგაბმულობის სამინისტრო ბოლოსდაბოლოს მიიღებს გადამჭრელ ზომებს ზუბის კავშირგაბმულობის განყოფილების ახალი შენობის ექსპლოატაციაში გაშვების დაჩქარებისათვის.

ვლ. დავითულიანი.

რედაქციისაგან: წერილი დასაბეჭდად უკვე მზად იყო, როცა რედაქციაში გვესტუმრა სამუშაოთა მწარმოებელი თემურ კვიწინაძე კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროს ი. ჭაბუკიანთან ერთად, რომელმაც პირობა მოგვცა, რომ კავშირგაბმულობის ზუბის განყოფილების შენობის მშენებლობას დაამთავრებს და ექსპლოატაციაში გაუშვებს 1 ოქტომბრისათვის.

რედაქციაში წერილი მოვიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს გარდაქმნა, ხაჯაროობისა და დემოკრატიის დამკვიდრება.

დადგა დრო, ვისაც რა უნდა იმას ამბობს, პრესაშიც მოიხსნა „ტაბუდადებული“ თემები. ყველას შეუძლია რა საკითხზეც სურს გამოაქვეყნოს სტატიები, ნარკვევები, შენიშვნები, კრიტიკული წერილები.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვხედავდეთ ნაკლოვანებებს, ხარვეზებს და თვალები დავხუჭოთ, არ გვეყოს გამბედაობა მხილებისათვის, შემდეგ კი მოვინდომოთ „სხვისი ხელით ნარის გლეჯა“. ანონიმური თუ ფიქტიური ხელმოწერით დაწერილი წერილებით ვამცნოთ რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს, პრესას არსებული დარღვევები და დანაშაული, ზოგჯერ შეთითხნილიც კი.

ყველასათვის ცნობილია, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არ მიექცეს ყურადღება ანონიმურ წერილებს, რადგან დღეს ყველა საშუალება აქვს თითოეულ მოქალაქეს გამოვიდეს და ობიექტურად გამოთქვას თავისი აზრი. ამ შეხედულებას იზიარებს ჩვენი რაიონული გაზეთის რედაქციაც.

ამ წერილის დაწერა გადაგვაწყვეტინა ამ დღეებში რედაქციაში ფიქტიური ხელმოწერებით „სილაგაძე, ლეთოდიანი, კოპალიანი“ შემოსულმა წერილმა, რომელშიც ლაპარაკია ორ საკითხზე. კერძოდ, რომ ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს „ლაზის“ მარკის ავტობუსის მძღოლმა თ. სილაგაძემ ქუთაისში ჩაყვანისათვის მგზავრებს გადაახდევინა ზედმეტი. არ ასახელებს ვის გადაახდევინა. არც მის პიროვნებას ამხელს და აბა, როგორ შეუძლია რედაქციის მუშაკს დაადგინოს ფაქტის სინამდვილე.

ანდა, წერილში აღნიშნულია, რომ ყოფილ სასტუმროსთან კოოპერატივმა გახსნა ქართული პურის საცხობი თონე. როგორც ხალხი ლაპარაკობს, ლავაში იყიდება 50 კაპიკადო. რაღა ხალხის ლაპარაკს უყურებს „ანონიმკის“ ავტორი, თვითონ მისულიყო და დარწმუნდებოდა, რომ 700 გრამიან ლავაშს კოოპერატივი მართლა 50 კაპიკად ყიდის.

სამწუხარო ის არის, ზოგიერთ მოქალაქეს ჯერ კიდევ არ ყოფნის იმისათვის გამბედაობა, რომ თუ რაიმე დარღვევებს ამჩნევს, თვითონ ამხილოს იგი, „ბუჩქებში“ დამალული სხვას უკიჟინებს, შეხედეთ, რა ხდებაო. ამასთან იმაშიც ვრწმუნდებით, ასეთი ადამიანები შურით და ბოღმით არიან სავსენი და სხვისი საქმიანობა თუ წარმატებანი შურთ.

რედაქცია კვლავ იმეორებს, მომავალშიც არ მივიღებთ და რაიმე რეაგირებას არ გავუკეთებთ ანონიმურ თუ ფიქტიურად ხელმოწერილ წერილებს.

ამიტომ ყველასგან მოვითხოვთ, ვიყოთ დღევანდელი მღელვარე ცხოვრების აქტიური მონაწილენი, გულწრფელად, პირდაპირ ვამხილოთ ის ადამიანები, რომლებიც კვლავ ჩადიან დარღვევებსა და დანაშაულს. ამ შემთხვევაში ჩვენი გაზეთიც თქვენს გვერდით იგულეთ.

რედაქციის მშრომელთა წერილების განყოფილება.

ჩვენი მიზანი ლეჩხუმში ფეხბურთის პოპულარიზაციაა

ინტერვიუ

დღეს, როცა მთელი ქართველი ხალხი იბრძვის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, ამ საქმეში პირველი მერცხლები ქართველი სპორტსმენები აღმოჩნდნენ, მათ შორის ფეხბურთელები, რომლებიც გამოეყვნენ საკავშირო ფედერაციას. წელს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად ტარდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი.

ამ ეროვნულმა საქმემ თავისი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს რაიონში, რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“, რომლის პრეზიდენტად არჩეულია სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ინსპექტორი მამუკა სილაგაძე, გუნდის მწვრთნელად მოწვეულია წარსულში თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი, ჩვენი თანამემამული სოსო ფრუიძე. გავითვალისწინეთ რა მკითხველის ინტერესი, ინტერვიუ ვთხოვეთ მამუკა სილაგაძეს და სოსო ფრუიძეს.

*** მამუკა, როგორ გაჩნდა ცაგერში ფეხბურთის კლუბის შექმნის იდეა და რას ისახავდით მიზნად?**

ეს იდეა მას შემდეგ დაიბადა, რაც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო და ცაგერის გუნდი ამ ჩემპიონატის მიღმა აღმოჩნდა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის II ჯგუფში თამაშები 13 აპრილს დაიწყო. ამ დროისათვის ცაგერის ფეხბურთელთა გუნდი ფაქტიურად დაშლილი იყო, არ წარუდგენია განაცხადი ჩემპიონატში მონაწილეობის თაობაზე და, ბუნებრივია, ვერ ჩაება ჩემპიონატში, სადაც სხვადასხვა ჯგუფებში (უმაღლესი, I და II ჯგუფი) 100-მდე საკლუბო გუნდი გამოდის. უბრალოდ დასანანია, რომ ჩვენი რაიონის გუნდი ვერ იღებს მონაწილეობას მასში. ამის გამო შევქმენით საინიციატივო ჯგუფი 7 კაცის შემადგენლობით, რომელსაც უნდა ეთავა რაიონში ფეხბურთის განვითარების საქმე. ახლა ამ ჯგუფში 31 კაცია გაერთიანებული. ჩვენი მიზანი ლეჩხუმში ფეხბურთის პოპულარიზაციაა და გაისად, ახალ საფეხბურთო სეზონში ცაგერის „ხვამლმაც“ რომ მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ ჩემპიონატში.

*** რა საქმიანობას ეწევით, რა გაქვთ გაკეთებული და რის გაკეთებას აპირებთ მომავალში?**

პირველ რიგში აუცილებელი იყო ფეხბურთელთა გუნდის შედგენა ადგილობრივი ახალგაზრდების ხარჯზე და ჩვენც აქედან დავიწყეთ. კლუბის დამფუძნებელ კონფერენციაზე გადაწყვიტეთ გუნდის მწვრთნელად მოგვწვია წარმოშობით ლეჩხუმელი, წარსულში ქუთაისის „ტორპედოს“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი სოსო ფრუიძე, რომელიც დაგვთანხმდა თხოვნაზე და უკვე სამი თვეა ავარჯიშებს ჩვენს გუნდს.

აქვე აღვნიშნავ, რომ ცაგერის „ხვამლი“ უკვე პროფესიული გუნდია სამეურნეო ანგარიშზე. გვაქვს საკუთარი ანგარიში ბანკში. თანხები ძირითადად შეგროვდა რაიონის წარმოება-დაწესებულებათა შემოწირულობების ხარჯზე. აქ მინდა გამოვყო აგროსამრეწველო გაერთიანების (უფროსი ო. ნემსწვერიძე) ორგანიზაციები, ცაგერის საგზაო სამმართველო (უფროსი ო. გიორგობიანი), რომლებმაც საკმაო რაოდენობით თანხა ჩაგვიროიცხეს. ფეხბურთელთა კვების და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში გვეხმარება რაიკოოპერატივი (თავმჯდომარე ზ. ბენიძე), ადგილმრეწველობის კომბინატმა (დირექტორი გ. მამარდაშვილი) გუნდისათვის შეგვიძინა სავარჯიშო ფორმები. დაწყებულია სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლის პროექტი გაკეთდა რაისაბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილებაში (გამგე კ. კვირიკაშვილი). სტადიონზე სამუშაოების შესრულებაში ავტომანქანებითა და მექანიზმებით გვეხმარება ცაგერის სარემონტო სამშენებლო უბანი (უფროსი ა. გოგიძე) და საგზაო სამმართველო.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ჩვენი მიზანი ლეჩხუმში ფეხბურთის პოპულარიზაციაა

(დასასრული).

ჩვენს ინიციატივას მხარი დაუჭირა და გვერდში გვიდგას ლეჩხუმის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობა და მისი წევრები გ. ჯიაძე და რ. კოპალიანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქის განვითარებისა და საბინაო კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე ა. კვირკაშვილი.

ნაყოფიერად შრომობს ფეხბურთელთა გუნდის უფროსი, ცაგერის ღვინის საწარმოს უფროსი მეღვინე მურმან გუგავა, რომლის ინიციატივით გარემონტდა სტადიონის გასახდელები, გაკეთდა თბილი და ცივი წყლით უზრუნველყოფილი საშხაპეები.

*** ბატონო სოსო, თქვენ უკვე სამი თვეა „ხვამლის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი ხართ, როგორ შეხვდით საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელთა თხოვნას სათავეში ჩადგომოდით გუნდს?**

მე ლეჩხუმელი ვარ და როცა გავიგე, რომ ცაგერში შეიქმნა პროფესიული საკლუბო გუნდი ძალიან გამიხარდა, არის შესაძლებლობა ლეჩხუმში პოპულარული გახდეს ფეხბურთი, რომელიც ამ ბოლო წლებში ძალზე ჩავარდნილი იყო. მე უყოყმანოდ დავთანხმდი ამ მოწვევას.

*** თქვენ, როგორც ფეხბურთელი, რა აზრისა ხართ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე, როგორ მიგაჩნიათ, შეუწყობს თუ არა ის ხელს ქართული ფეხბურთის აღორძინებას?**

ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება, ჩემი აზრით, გამოიწვევს ფეხბურთის აღმავლობას პერიფერიებში, პერსპექტივაში კი მთლიანად ქართული ფეხბურთის აღორძინებას. ეს ასეც რომ არ მოხდეს, ეროვნული ჩემპიონატი საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯია და მეც მივესალმები ამ ფაქტს.

*** როგორია გუნდის შემადგენლობა და განწყობა?**

დღეისათვის გუნდში 19 ფეხბურთელი გვყავს, აქედან 8 მოწვეულია, დანარჩენი ადგილობრივი მცხოვრებია. გუნდი ძირითადად ახალგაზრდულია. გვყავს 1970-1973 წლებში დაბადებული ფეხბურთელები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. თითოეული მათგანი მონდომებით ვარჯიშობს და ცდილობს აიმაღლოს კლასი.

რა ღონისძიებები გაქვთ დასახული იმისათვის, რომ რაიონში ნიჭიერი ფეხბურთელები აღიზარდონ და „ხვამლს“ საიმედო ცვლა ჰყავდეს?

ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა ჩხუტელისა და ცაგერის საშუალო სკოლების დირექციებთან. ჩხუტელის საშუალო სკოლის ბაზაზე გვეყოლება ბავშვთა გუნდი „ხვამლი—2“ რომელიც მონაწილეობას მიიღებს დაბალი ასაკის ფეხბურთელთა შეჯიბრებებში. ცაგერის საშუალო სკოლაში გვინდა გავხსნათ სპორტული კლასები, სადაც ფეხბურთელებთან ერთად გაერთიანდებიან ფრენბურთელები, მოჭიდავეები და სპორტის სხვა სახეობათა მიმდევრები.

*** ამ სამი თვის მანძილზე ვისთან ჩაატარეთ მატჩები და მომავალში რა შეხვედრები გელით?**

ჩატარებული გვაქვს სულ 3 ამხანაგური საკონტროლო შეხვედრა. ვუმასპინძლეთ ამბროლაურის „რაჭას“ და დავამარცხეთ ანგარიშით 2:0 ფრედ 2:2 დავამთავრეთ გასვლითი მატჩი ქუთაისის „უქიმერიონთან“, დავმარცხდით სტუმრად თერჯოლის „საპოვნელასთან“, რომელიც I ჯგუფში გამოდის.

9 სექტემბერს იწყება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის II ჯგუფის დასავლეთის ქვეჯგუფში გადასასვლელი ტურნირი, რომელშიც ჩვენი გუნდიც მიიღებს მონაწილეობას.

*** რა მიზნებს ისახავთ ამ ტურნირში?**

რადგან ფეხბურთი პირველ რიგში მაყურებელთათვისაა, შევეცდებით სანახობრივად ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ გულშემატკივრებს. რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ გამარჯვებისთვისაც.

ესაუბრა

გ. ჩარკვიანი.

წიგნი... უაბონემენტოდ

უცხოური დეტექტიური რომანების კრებული, როი მედვედევის წიგნი ხრუშჩოვის, შესახებ, ჯერ კიდევ არ გამოჩენილა წიგნის მაღაზიის თაროებზე. მაგრამ მათი შეძენა შეიძლება მაკულატურის მიმღებ პუნქტებში, ამასთან, უაბონემენტოდ.

—გადიდებული მოთხოვნილების წიგნები,—ამბობს რესპუბლიკური გაერთიანება „საქმეორადგადამუშავების“ გენერალური დირექტორი გადუნი კოპლატაძე,—ჩვენ საბჭოთა კავშირის სახმომარაგებამ გამოგვიყო, როცა ყველგან შეიქმნა რეალური საშიშროება, რომ ჩაიშლებოდა მაკულატურის შეგროვების გეგმა. ამ მხრივ ცუდად არის საქმე ჩვენთანაც რესპუბლიკაში. ფაქტიურად, სამი წყაროდან, საიდანაც ჩვენ ვიღებთ მაკულატურას, ორი „ამოიწურა“. ძირითადმა მომწოდებლებმა — გამომცემლობებმა, მხსვილმა საწარმოებმა შექმნეს კოოპერატივები, დადეს პირდაპირი ხელშეკრულებები „საქქაღალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებასთან, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანასთან, უცხოურ ფირმებთან და მაკულატურას მათ უგზავნიან.

ჩვენი იმედები ახლა მხოლოდ მოსახლეობაზეა დამყარებული. ეკონომისტების გამოანგარიშებით მათგან წელიწადში შეიძლება მივიღოთ 40 ათას ტონამდე მაკულატურა. მაგრამ როგორ მივაკვლიოთ ამ რეზერვს, რით დავაინტერესოთ პოტენციური ჩამბარებლები? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მხოლოდ იმ გამოცემებით, რომლებზედაც გადიდებული მოთხოვნილებაა. 20 კილოგრამი ქაღალდი, და დეფიციტურ წიგნს აბონემენტისა და წიგნის მაღაზიებში სირბილის გარეშე პირდაპირ მიმღებ პუნქტებში იძენთ. ამ სიახლის წყალობით ჩვენ ნახევარი წლის გეგმა თითქმის გადაჭარბებით შევასრულეთ.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ირინე ჯაგუს ასულ ტვილდიანს
ბადრი ალექსანდრეს ძე შკუბულიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ნატო, დათო, გიორგი კვენეტაძეები.

გილოცავთ

მარინე ვალოდიას ასულ ირემაძეს
ოთარ გრიშას ძე კვენეტაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, აღზრდილიყოს ერის სასახელო ქალი, შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი.

ზოია თედორეს ასულ სილაგაძეს
ლერი ვალიკოს ძე სალინაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ნამდვილი ქართველი ქალი, კვლავაც მრავალი სიხარული გენახოთ.

ცაგერის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თანამშრომლები.

თინა, ვაჟა ჩაფრავებს

გილოცავთ, ვაჟიშვილის ბედნიერებას ქორწილი და სიხარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

ჩხუტელის ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

მეუღლე იაჩქა, შვილები აზა, ბადრი, ამირანი, რძლები ფატი, ლიანა, შვილიშვილები თამუნა, გიორგი, ნათია, ძმისშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ ილიკოს ძე ამბროლიანი.

დაკრძალვა 9 სექტემბერს, კვირას, სოფ. მახურაში.

აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზოია ჯიქიას დედის

ლილი ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუბენ, როლანდ ჯიქიებს მეუღლისა და დედის

ლილი ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის მრავალდარგობრივი საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანების, სახმართველობის, ტექნიკური ბიუროს, სასტუმროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი, ჯონი ჯიქიებს დედამთილისა და დედის

ლილი ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

იოსებ ჩაჟვეტაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რეზო შოთას ძე ბენდელიანი.

ჩხუტელის ბაგა-ბაღისა და საფერშლო პუნქტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ აზა დაშნიანს მამის

გურამ ამბროლიანის

გარდაცვალების გამო.

რობიზონ კვირიკაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლილი აპოლონის ასული ლეთოდიანი-ჯიქია.

მიშა მუშკუდიანი, ზაურ, ნუკრი სალინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯუმბერ ბენდელიანს ძმის

ოთარ ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

სანეპიდსადგურის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი აპოლონის ასული ლეთოდიანი-ჯიქია.

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ყორა, გოგი, დათო ომანაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ რუბენ ჯიქიას ოჯახს

ლილი აპოლონის ასული ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

შურა თუთისანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რეზო შოთას ძე ბენდელიანი.

რუბენ ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს გელა, ჯუმბერ ბენდელიანებს ძმის

ოთარ ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი

რეზო შოთას ძე ბენდელიანი.

თანაკლასელები თანაუგრძნობენ ჯონი ჯიქიას დედის

ლილი აპოლონის ასული ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

დამზადების ცაგერის რაიონული გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი, როლანდ ჯიქიებს დედამთილისა და დედის

ლილი ლეთოდიანი-ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

დედა სონა, მეუღლე რუბენი, შვილები ლალი, ციცო, როლანდი, ჯონი, ძმები იაშა, ტრისტან ლეთოდიანები, რძლები ლალი კვირიკაშვილი, ლიდა ბობოხიძე, ლილი, ნათელა მუშკუდიანები, სიძე დიმიტრი ალავიძე, შვილიშვილები გიორგი, ქეთევან ალავიძეები, ქეთევან, სოფიკო ჯიქიები, მაზლები გრიშა, გივი, იორამი, მაზლიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი აპოლონის ასული ლეთოდიანი-ჯიქია.

დაკრძალვა 11 სექტემბერს, სამშაბათს, 5 საათზე ქ. ცაგერში, გამოსვენება თამარ მეფის ქ. №2-დან.

ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯუმბერ ბენდელიანს ძმის

ოთარ გიორგის ძე ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი, საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაკა, ეკა, მამუკა ბენდელიანებს მამის

რეზო შოთას ძე ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

შოთა მურცხვალაძე, ვალერი გიორბელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი აპოლონის ასული ლეთოდიანი-ჯიქია

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ნორა, ჯუმბერ ბენდელიანებს მაზლისა და ძმის

ოთარ ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.